



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1755
05/10/2018

ქალაქი ბათუმი

1755-05-4-201810051514



გენადი შაშიკაძეზე „საპატიო მაჭახლელი“-ს წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 სექტემბრის №1708 ბრძანებით შექმნილი 2018 წლის „საპატიო მაჭახლელი“-ს გამოსავლენი კომისიის 2018 წლის 03 ოქტომბრის №1 ოქმის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

1. „საპატიო მაჭახლელი“-ს წოდება მიენიჭოს გენადი შაშიკაძეს, მისი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაჭახელას ხეობაში გაწეული დეველოპმენტისათვის.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ.ნაკაშიძე) უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა